



საჯარო სამართლის იურიდიული პირის
საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის

ბრძანება №01/62-ო

ქ. თბილისი

31 დეკემბერი 2013 წელი

სს “სამედიცინო დაზღვევის ჯგუფი არქიმედეს გლობალ ჯორჯიაში“ იძულებითი ადმინისტრაციის დანიშვნის თაობაზე საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2013 წლის 19 აგვისტოს №01/13-ო ბრძანებით დადგენილი იძულებითი ადმინისტრაციის გაუქმებისა და აღნიშნული ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

“დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის, ამავე კანონის 33² მუხლის პირველი პუნქტის „ბ“, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2010 წლის 11 ოქტომბრის N126/01 ბრძანებით დამტკიცებული „ზღვეველის იძულებითი ადმინისტრაციის, ლიკვიდაციისა და გაკოტრების საქმის წარმოების წესის“ და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სს “სამედიცინო დაზღვევის ჯგუფი არქიმედეს გლობალ ჯორჯიაში“ იძულებითი ადმინისტრაციის დანიშვნის თაობაზე საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2013 წლის 19 აგვისტოს №01/13-ო ბრძანება გამოცხადდეს ძალადაკარგულად და შესაბამისად გაუქმდეს ამ ბრძანებით დანიშნული იძულებითი ადმინისტრაცია.
2. დროებითი ადმინისტრატორის გათავისუფლების შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობოს სს „სამედიცინო დაზღვევის ჯგუფი არქიმედეს გლობალ ჯორჯია“-ს მარეგისტრირებელ ორგანოს. იძულებითი ადმინისტრაციის გაუქმების თაობაზე გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და აღნიშნული ინფორმაცია დაუყოვნებლივ გამოქვეყნდეს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ და სსიპ საქართველოს დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურის ვებ-გვერდზე.

3. აღნიშნული ბრძანების გასაჩივრება შეიძლება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი N6) მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. აღნიშნული ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.



ლამა ნიკოლაძე

სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო
ზედამხედველობის სამსახურის უფროსი